№ 238
ოთხშაბათი, 1 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 6 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 238
ოთხშაბათი 1 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—42) — მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. **ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. **მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. **ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. **ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ი. თ. **პროტასევიჩი**—5—6 საათ.

ა. ნ. **შაპკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. **თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

გ. ა. **ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

საჭიროა
მოსამსახურე-ბიჭი
13—14 წლისა. იკითხონ „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21
(4—უ.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: გუდაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელე ქ ვ ა ნ ი ა — ფასანაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველად; ორდუბათის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე—ქ. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების (ნავთლუღში) მოხელედ.

გამწესებულ იქმნენ: აზნაური კონსტანტინე კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, მღვდლის შვილი გრიგ. ბ ა რ ა მ ი ძ ე და თავ. ხარიტონ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე პირველი—ტფილისის სატელეფონო სადგურის მოხელედ, მეორე—ორდუბათის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ, ხოლო მესამე—ახალ-ათონის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგინ, თავისისავე თხოვნით, ახალ-ათონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი გ. კ ო ღ ო შ ვ ი ლ ი.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 29 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში საზოგადო კრება ჰქონდათ ტფილისში არსებულ სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა კომისიის წევრებს. კრებამ მოისმინა კომისიის მოქმედებისა და ფულის ანგარიში წარსულ წლისა. როგორც პირველის ანგარიშიდგანა სჩანს, წლის განმავლობაში კომისიას გაუმართავს 150 სახალხო კითხვა ავჭალის ქუჩაზედ კომისიის შენობაში, რკინის გზის სახელოსნოების დარბაზში, ღამის თავ-შესაფარში დიდუბეს და საგუბერნიო საპატიმროში. დაუხარჯნია იმავე წელს კომისიას 800 მანეთი. შემდეგ კრებამ, ქართულ წარმოდგენების სექციის მოხსენების თანახმად, დაადგინა მოუმატოს შესვლის ფასი იმ სახალხო წარმოდგენებზედ, რომლებიც ავჭალის ქუჩაზედ, კომისიის შენობაში იმართება. დღემდის თითო ადგილი იქ თითო შაურადა ღირდა; ამიერიდგან წარმოდგენებზედ პირველი 10 რიგის ადგილები ორ-ორ შაურად ეღირება, დანარჩენი—თითო შაურად. დასასრულ არჩეულ იქმნენ კომისიის გამგეობის წევრნი.

*** კვირას, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო წარმოდგენათა ქართულმა სექციამ კონცერტი გამართა. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონცერტმა კარგად ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა. კარგს იზამს ქართულ წარმოდგენათა სექცია, თუ ასეთ კონცერტებს ხშირად გამართავს. მონაწილეობას იღებდნენ ამ კონცერტზედ: ფალიაშვილის ხორო (შესრულა რუსულ-

## ფელეტონი

### გადამდებია ჭლექი თუ არა?

თვით ჰიპოკრატი—divus pater medicinae ჭლექს გადამდებ სენადა სთვლიდა. მისის აზრით, ჭლექის გადადებაში უმთავრესი ადგილი ეჭირა ჭლექიან ავადმყოფებისაგან მოხაშმულ და მოწამლულ ჰაერს. ჰიპოკრატს სწამდა ადამიანის მორჩენა ამ სენისაგან, ხოლო ყველას ურჩევდა იმ ადგილიდგან წასვლას, სადაც პირველად ჭლექით შეიქმნენ ავად. ჭლექიანისთვის საცხოვრებლად ის ადგილი არის საუკეთესო, სადაც სითბო და სიცივე თანასწორადაა განაწილებულიო.

ვალენიც ჭლექს გადამდებ სენადა სთვლიდა და ესეც უწმინდურ ჰაერს აბრალებდა ჭლექის გავრცელებას. ჭლექიანებს ჰგზავნიდა ეგვიპტეში საცხოვრებლად, ზღვით მოგზაურობასა და რძის სმას ურჩევდა.

მე-XVI საუკუნეში Montano ჭლექის გადამდებობის მომდევარი იყო. საკმარისიაო, ამბობდა ეს მეცნიერი, ადამიანმა შიშველი ფეხი დაადგას ჭლექიანის ნახველს, რომ ავად გახდეს ჭლექითაო. ამავე საუკუნის მეცნიერთა თხზულებებში შეხვდებით მრავალ მაგალითს, რომლებიც მოყვანილია ჭლექის გადამდებობის დასამტკიცებლად. ერთ ამგვარ მაგალითათ აღნიშნულია ამბავი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ერთმა ჭლექიანმა მღვდელმა გადასცა თავისი სენი იმ ქალს, რომლის რძითაც სწამლობდა თავს მკურნალის რჩევით; არ გავიდა ორი თვე ამ მღვდლის სიკვდილის შემდეგ, რომ ეს ქალიც გარდაიცვალა ჭლექით და ამანაც თავისს მხრივ სენი თავისს დას შეჰყარაო.

მეთვრამეტე საუკუნის მეცნიერნიც ჭლექს გადამდებ სენადა სთვლიდნენ. Friedrich Hoffmann-მა დასწერა თხზულება „de phthisi contagiosa“, რომელშიაც იგი ჭლექს აგვიწერს გადამდებ სენად, მაგრამ ამასთან დიდ ადგილს უთმობს ბუნებრივ მიდრეკილებასაც. ამ საუკუნეში ისე სჯეროდათ ჭლექის გადამდებობა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ვერც-კი გაჰბედავდა ჭლექიანების გვამების გაჭრას. Phthisicorum cadavera fug, adolescens, fugio etiam senex., სთქვა მაშინდელ დროის მეცნიერმა Morgagni-იმ. ამგვარივე შიში ჰმეფობდა მთელ მაშინდელ საზოგადოებაში. ნეაპოლიტანის მთავრობამ სასტიკი ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით ყოველი მკურნალი ვალდებული იყო შეეტყობინებინა მთავრობისათვის ჭლექით ავადყოფთა გვარები; ხოლო იმას, ვინც არ შეასრულებდა ამ ბრძანებას, 500 დუკატი ერთმეოდა ჯარიმად პირველად, მეორედ-კი სრულიად განდევნილ იქნებოდა სახელმწიფოდგან. ყოველ ჭლექიანს მაშინვე, მის დაუკითხავად, საავადმყოფოში ათავსებდნენ; მთელი მისი მოძრავი ქონება უნდა აწერილიყო და დაბეჭდილი და შემდეგ დაეწვათ. იმ სახლში-კი, სადაც ჭლექიანი სცხოვრობდა, თითქმის ხელ-ახლად სცვლიდნენ ყველაფერს; კარებს, ფანჯრებს, ჭერს, იატაკს და სხვას. ახალს მდგმურებს მხოლოდ ერთის წლის შემდეგ აძლევდნენ შიგ დადგომის ნებას. ამ გვარივე განკარგულება იყო გამოცემული ვენეციასა, პორტუგალიასა და სამხრეთს საფრანგეთში. საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი—ქალი ჟორჟ ზანდი მკურნალების რჩევით ისპანიაში მოგზაურობდა თავის საყვარელ შოპენთან ერთად, რომელიც ჭლექით იყო ავათ; ერთ ქალაქში, სადაც ისინი აპირობდნენ რამდენისამე დღით დარჩენას, სახლის პატრონმა ორივენი სახლიდგან გამოაგდო, რადგან ჭლექიანის შოპენისა შეეშინდა. ქალაქ ბარცელონაში-კი სახლის პატრონმა ფული ითხოვა იმ საწოლში, რომელზედაც შოპენი იწვა, რადგან ეს საწოლი აღარ ივარგებს სახმარებლადაო.

ჩვენის საუკუნის დასაწყისში ძლიერ შეირყა ჭლექის გადამდებობის მოძღვრება სხვა-და-სხვა ახალის გამოკვლევის წყალობით. 1882 წ. გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა Koch-მა აღმოაჩინა ჭლექის ბაცილა, რომელიც თავისის მოყვანილობით ძლიერ წააგავს პაწაწკინა ჩხირს; ამიტომ სახელად ამ ბაცილას „კოხის ჩხირი“ დაერქვა. მიზეზი ჭლექისა, როგორც აღმოჩნდა, ეს ბაცილა ყოფილა. ამ აღმოჩენის შემდეგ თითქმის ყველანი დარწმუნდნენ ჭლექის გადამდებობას, ყველას შიშის ზარი დასცა ამ ბაცილებმა. კოხის ახალი გამოკვლევანი ამტკიცებდა, რომ ჭლექიანს ნახველთან ერთად ბაცილები ამოაქვს; ნახველი ხმება და იქცევა მტვრად, რომელიც ქარს გადააქვს ერთის ადგილიდგან მეორეზედ და მასთან მიაქვს ბაცილებიც; ამიტომ იქ, სადაც ჭლექიანია, ჰაერიც სავსე უნდა იყოს ამ ბაცილებითაო. აქედგან აშკარად სჩანს, თუ რა საშიში ყოფილა ჭლექით ავადმყოფის მეზობლობა. ამას გარდა, ბაცილები სწამლავენ ჰაერს მაშინაც, როდესაც ჭლექიანს ახველებს, ან ხმა-მაღლად ლაპარაკობს, ესე იგი მაშინ, როდესაც პირიდგან ნახველის წინწკლები სცვივა და ამ წინწკლებთან ერთად ბაცილებიც ამოაქვს ფილტვებიდგან. აი ამ აზრზედ იყო დამყარებული Cornet-ის სიტყვები: ბაცილები (ჭლექისა) ისე ფარფატებენ ჰაერში, როგორც ომის დროს ტყვიებიო. ყველას ისე ეგონა, რომ საკმარისია ერთხელ მაინც გადაყლაპოს ადამიანმა ამგვარი ბაცილა, რომ ჭლექით შეიქმნას ავადაო.

ამ გვარმა, ფრიად გაზვიადებულმა და უსაფუძვლო აზრმა დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებას, რადგან გარდამეტებული შიში გამოიწვია და გულ-ცივობა და დიდი უყურადღებობა დაჰბადა ჭლექით ავადმყოფთა მიმართ. ჩამოვარდა განხეთქილება ცოლ-ქმრობაში. ძლიერ ხშირად მომხდარა, რომ ცოლს ჭლექიანი ქმარი მიუტოვებია ამ შიშის გამო, ქმარი ჭლექიანს ცოლს არ მიჰკარებია, შვილები დედას, ან მამას მოჰრიდებიან. ზოგი იქამდე მისულა, რომ ჭლექიანს ხელსაც კი არ ართმევდა.

ეს გარდამეტებული შიში გამოწვეულია თვით იმ მკურნალთა მიერ, რომლებიც დაადგნენ ამ უკიდურესს აზრს. მაგალითად, D-r Chaplin-ი გვირჩევს, რომ იმან, ვისაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს ჭლექით ავადმყოფობისა, სრულიად არ უნდა შეირთოს ცოლიო; მისისავე აზრით, ყველა ჭლექიანებს უნდა აეკრძალოთ ეკკლესიებსა, თეატრებსა, და სხვა საზოგადო ადგილებში სიარული; უნდა დაარსდეს საავადმყოფონი, სადაც უნდა მოათავსონ ჭლექიანები. Dr. Iacoby-ი კი იმ აზრისაა, რომ ჭლექიანებს ნება არ უნდა ჰქონდეთ მიწაზედ, ან იატაკზედ გადაფურთხებისაო. ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ შტატში ხუთ დოლლარს ახდევინებენ იმას, ვინც ასე გადააფურთხებს.

ვინ იცის ეს შიში სადამდე გაძლიერებულიყო, ამ ბოლო დროს რომ არ გამოჩენილიყვნენ ისეთნი კაცნი, რომელნიც თითქმის სრუ-

ქართული სიმღერები), ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნნი კარგარეთელი, ბარათაშვილი, კ. მესხი, ადამიძე და სხვანი.

*** კვირას, 29 ოქტომბერს, ნიკოლოოზის სახელობის საქალაქო სასწავლებელში ამ სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლების კრება მოხდა. კრებაზედ, სხვათა შორის, სკოლის ინსპექტორმა ლაპარაკი აღძრა სასწავლებელში ბუჰალტერიისა, სატელეგრაფო და სხვა ხელობათა სწავლების შემოღების შესახებ; მშობლებმა თავისს მხრივ დახმარება აღუთქვეს. აღძრეს ლაპარაკი აგრეთვე იმის შესახებ, რომ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება დაარსდესო. დამსწრეთ წევრობაზედ თანხმობა განაცხადეს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟენერი ველენევი პეტერბურგიდგან დღეს, 1 ნოემბერს, ჩამოვა ტფილისში.

*** პეტერბურგიდგან ამ წლის გასვლამდის ამიერ კავკასიაში განსაკუთრებული ექსპედიცია ჩამოვა, ექსპედიციას დავალებული ექმნება ისეთის ჰაერით ნაქებ ადგილების ამორჩევა ამიერ-კავკასიაში, სადაც შესაძლებელი იქმნება ბავშვებისათვის განსაკუთრებულ სადგომების გამართვა.

*** ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს დედათა იმ გიმნაზიებში, რომელნიც იმპერატრიცა მარიამის უწყებას ექვემდებარებიან, სწავლის ფასად დანიშნულ იქმნა 60 მანეთი წელიწადში.

*** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, 24 ოქტომბერს ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში წლიური აქტი მომხდარა. სპეციალურ კლასთა მდივნის ა. ს. ხახანაშვილის მიერ წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ გასულ წელს სულ 9 სტუდენტს დაუმთავრებია სწავლა ინსტიტუტში; ხოლო ამ ჟამად სპეციალურ კლასებში სწავლობს სულ 55 კაცი. სხვათა შორის აქტზედ წაუკითხავთ, პროფ. ვ. მილერისა, გ. ხალათოვისა და ა. ხახანაშვილის მიერ შედგენილი პროექტი სპეციალურ კლასებში კავკასიის განყოფილების დაარსების შესახებ. ამ განყოფილებებში ასწავლიან სპარსულსა, ქართულსა, სომხურსა და ადარბეიჯანულ ენებს. პროექტი საბჭოს უკვე წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

*** ქალაქის გამგეობამ ამას წინად საქონლის ვაჭრობა თივის მოედნიდგან ნავთლუღს, საყასბოში გადიტანა. ეხლა მე-6-ე პოლიციის ნაწილის მცხოვრებლებმა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს მიმართეს და სთხოვეს, რომ საქონლის ვაჭრობა წინანდელს ალაგს იყოს ხოლმეო.

*** როგორც შევიტყეთ, კვირას, 29 ოქტომბერს, ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პავლოვი წინამძღვარიანთ კარის სკოლაში ყოფილა, სადაც ყველა კლასში შესულა ღ მოსწავლეებისათვის გაკვეთილები გამოუკითხავს. ბ-ნი ინსპექტორი, როგორც სკოლის სარევიზიო წიგნიდგანა სჩანს, დარწმუნებულა, რომ მასწავლებელნი გულ-წრფელად, კეთილსინიდისიანად და ცოდნით ეკიდებიან მოსწავლეების გაწრთვნასა და სწავლას.

*** მთელს რუსეთში აფთიაქის გარედ წამლებით ვაჭრობა თითქმის მთლად ურიცთა ხელშია. დღეს უნდა საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ პირველ მაგალითს; ტფილისში ახლად დაარსებულმა ფარმაცევტთა ამხანაგობამ „Закавказское Товарищество фармацевтовъ торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ“ წამლებით სავაჭრო სახლი გახსნა მუხრანის ქუჩაზე სასამართლოს (სუდის) პირდაპირ.

თაოსნობა ამ საქმისა ქართველ ფარმაცევტებს ეკუთვნით, ფირმის თავად პროვიზორი ილ. ალხაზიშვილი არის არჩეული, ვაჭრობას აწარმოებენ თითონვე პროვიზორები და ეს დიდი თავდებია იმისა, რომ მსურველი ნამდვილად იმ წამალს მიიღებს, რა წამალსაც თხოულობს. ვისურვებთ ამ სასარგებლო საქმის გამარჯვებას.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს წელს კავკასიაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად 105,000 მანეთი გადაუდვია.

*** განზრახვა აქვთ მეტეხისა და ტფილისის საგუბერნიო საპატიმროებში მოსამსახურეთათვის ისეთი შემნახველ-გამსესხებელი კასსა დააარსონ, როგორიც ამ ჟამად ტფილისის პოლიციის მოხელეთათვის არსებობს.

*** დღეს, 1 ნოემბერს, დილის 10 საათზედ ქალაქის სამხედრო ბეგარის საკრებულოს დარბაზში ამ წელს ჯარში გაყვანილ ყმაწვილ კაცთ დააფიცებენ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სარევიზიოდ გზათა სამინისტროს მიერ დანიშნული კომისია გორჩაკოვის თავმჯდომარეობით გუშინ-წინ ჩამოვიდა ტფილისში.

*** განზრახვა აქვთ, მომავალ წელს კავკასიაში პირველი სოფლო-საეტნოგრაფო გამოფენა გამართონ. („ახ. მიმ.“)

*** „ახ. მიმოხ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ: „აქაური წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა ამ მოკლე ხანში სახალხო წიგნაკების გამოცემას შეუდგება. გამოსცემენ უმეტესად ბელეტრისტიულ ნაწარმოებს. წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობას ზოგიერთ ქართველ ბელეტრისტისათვის უკვე მიუმართავს და უთხოვნია მიაწოდონ თავიანთი ნაწარმოები სახალხო გამოცემათათვისო.

*** კვირას, შუადღის 12 საათზედ, ადილხანოვის ქარხანაში პარაკლისი იყო გარდახდილი ამ ქარხნის 25 წლის არსებობის გამო. პარაკლისს დაესწრნენ კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, გენერალ-ლეიტენანტი თავ. მ. კ. ამირაჯიბი, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ნ. სვეჩინი და სხვანი.

*** ინჟენერმა ბ. ი. სტრეემსკიმ რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ ტფილისში მცირეწლოვან და სრულ-წლოვან მუშათათვის სატეხნიკო განათლების კურსები და კლასები დაარსდეს. ასეთი კურსები ამ ჟამად, როგორც ბ-ნ სტრეემსკის მოხსენებიდგან სჩანს, მოსკოვსა და ლიბავაში არსებობს თურმე და მუშებიც ხალისით ესწრებიან. ამ კურსებზედ უმთავრესად ხატვასა და ანგარიშს ასწავლიან. ტფილისში, სადაც სამი ათასზედ მეტი მუშაა, ფრიად სასარგებლო იქნება ასეთი კურსები. არც ბევრი რამ დაიხარჯება კურსების დასაარსებლად, რადგანაც კურსები პირველში რკინის გზის სასწავლებელთან შეიძლება გაიხსნას. ამ საქმის გადაწყვეტა სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების განსაკუთრებულ კომისიისთვის მიუნდვიათ.

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტრო, რომელსაც საშუალო სასწავლებლებში სწავლის საქმის გაწეს-რიგებას მორჩება, შეუდგება საერო განათლების სამინისტროს პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლის მოწყობასა და უკეთ დაყენებას.

— იმის განხილვას, თუ როდის და რა გვარად უნდა გამართოს სრულიად რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელთა კრება, შეუდგებიან მხოლოდ მომავალის წლის დასაწყისში.

— ამა წლის ნოემბერს ქალაქ დანციგში მოხდება რუსეთისა და გერმანიის რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც შემუშავებული იქმნება ახალი სადამოჯნო ტარიფი რუსეთ-გერმანია-ნიდერლანდიის კავშირისათვის. ახალი ტარიფი 1901 წლის 1 აპრილიდგან დაიწყებს მოქმედებას.

— ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ სამმართველოს ამას წინად მიუმართნია ფოსტა-ტელეგრაფის ოლქების უფროსთათვის და მოუთხოვნია წარადგინონ დაწვრილებითი ცნობანი ხელ-ქვეით დაწესებულებათა მოქმედების შესახებ და აგრეთვე ცნობები მოსამსახურეთა შესახებ. მთავარ სამმართველოს ზოგ ოლქის უფროსისაგან უკვე მიუღია ცნობები. უფროსნი, აღნიშნავენ რა იმას, რომ მოსამსახურეთა რიცხვი არ შეეფერება იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა ცხოვრება იწვევს, ატყობინებენ, რომ საჭიროა მოუმატოთ ჯამაგირი მოხელეებსა და ფოსტალიონებსაო. ამას გარდა რადგანაც შრომა დიდია და სასყიდელი კი მცირე, ისინი, ვისაც კარგი განათლება მიუღია, გაურბიან ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში სამსახურსაო.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, იმპერატრიცა მარიამის უწყების დედა-

ლიად უარ-ყოფენ ჭლექის გადამდებობას. თან და თან უფრო ხმა მაღლა გაისმის, რომ შიში ჭლექის ბაცილებისა გაზვიადებული და უსაფუძვლოაო. მრავალმა უტყუარმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ შესაძლოა ჰაერი მოწამლული იყოს ამ გვარ ბაცილებით და ადამიანმაც გადაჰყლაპოს, მაგრამ სრულიად უვნებელი დარჩეს. ჭლექის ამ გვარი გადადება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ ხომ ვერც ერთი ადამიანი ვერ გადარჩებოდა იმათ შორის, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს ჭლექიანების მოვლა საავადმყოფოებში, როგორნიც არიან, მაგალითად, მკურნალები, ფერშლები და დანარჩენი საავადმყოფოს მოსამსახურენი, რომლებიც დღე და ღამეს ავად-მყოფების საწოლთან ატარებენ, ნამდვილად კი ვხედავთ, რომ ჭლექით ავად გახდომა ამათ შორის ძლიერ იშვიათია, თუმცა 20—25 წლობით ემსახურებიან ჭლექიანებს.

იმ ადგილებში, სადაც ჭლექიანებისთვის სანატორიები არის გამართული, ჯერ არავის არ შეუნიშნავს, რომ იქაურ მკვიდრ მცხოვრებთა შორის ჭლექით ავადმყოფთა რიცხვს ემატოს; არამც თუ არ უმატნია, არამედ კიდეც იკლო თურმე. მაგდებურგის საავადმყოფოში 1880 წლიდგან 1897 წლამდე მოთავსებულ იქმნა 34560 ავადმყოფი შინაგან სნეულებით, რომელთა შორის 3820 ჭლექიანი იყო; ამათ შორის ამ სენით 1630 გარდაიცვალა. ამ ხნის განმავლობაშივე საავადმყოფოში გამოიცვალა 139 მოსამსახურე, რომელნიც დღე და ღამე ჭლექიანებს უვლიდნენ, მაგრამ არც ერთი იმათგანი ავად არ გამხდარა.

„როდესაც გიმნაზიელი ვიყავიო, ამბობს ცნობილი მეცნიერი Romples-ი, 6—7 თვის განმავლობაში ჭლექიან ავადმყოფის გვერდით ვიწექიო, მთელ დღეს იმასთან ვატარებდი საავადმყოფოში, არ მოვრიდებივარ აგრეთვე ჭამა-სმაშიაც, მაგრამ ჭლექით მაინც ავად არ გავმხდარვარო. მაშინ (1870 წ.) ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენდით, რომ ჭლექი გადამდები სენი იყოო.

ის აზრი, რომ ვითომ ჭლექიანს ნახველთან ერთად ცოცხალი ბაცილები ამოჰქონდეს ფილტვებიდგან და ეს ბაცილები სწამლავდნენ ჰაერს, უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვანახვა ამ ბოლო დროს, რომ ის ბაცილები, რომელიც ჭლექიანის ნახველშია, უფროს ერთ შემთხვევაში სიცოცხლეს არიან მოკლებულნი, ხოლო ცოცხალი ბაცილები-კი მალე ჰკარგავენ სიცოცხლის ნიშნებს მზის სხივების გავლენის წყალობით. ამ გვარად, ჭლექიანებს დიდი დანაშაული არ მიუძღვით, რომ ვითომ ჰაერში ბაცილებს ავრცელებდნენ. რაც უნდა ჯან-საღი ადამიანი აიღოთ, მაინც შეგიძლიანთ მისს პირსა და ცხვირში სხვა-და-სხვა მავნე ბაცილები იპოვოთ; მათ შორის ჭლექისაც, რომლებსაც არავითარი ზიანი არ მოაქვთ ადამიანისათვის და მხოლოდ მაშინ გამოიწვევენ ამ სენს, როდესაც თვით ადამიანის სხეულში ნიადაგია მომზადებული.

ჭლექის გადამდებობის მოძღვრება რომ საფუძვლიანი იყოს, მაშინ ჭლექიანების ნახველისა და საზოგადოდ ყოველ ნივთის, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონია ამ გვარ ავადმყოფთან, დეზინფექციას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა; დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა აგრეთვე ჭლექიანების განცალკევებას და საავადმყოფოში მოთავსებას, დიდი ხნის გამოცდილება-კი იმას გვეუბნება, რომ ამ ღონისძიებათ არავითარი გავლენა არა აქვთ ჭლექიან ავადმყოფთა რიცხვის შემცირებაზე დაო.

თუმცა დღესაც „კოხის ჩხირების“ შესწავლა ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, მაგრამ მაინც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჭლექის ბაცილები საყოველთაოდ გავრცელებულია ჰაერში, მაგრამ ამ ბაცილების გავრცელება ნებას არ გვაძლევს ჭლექი ისეთ გადამდებ სენად ჩავთვალოთ, როგორც, მაგალითად, ყვავილია, ხუნაგი, წითელა და სხვანი.

ჭლექი, Dr Lerefait-ის აზრით, ბუნებაში დიდს დანიშნულებას ასრულებს, რადგან იგი ანადგურებს იმათ, რომლებიც სხვა-და-სხვა მავნე მიზეზთა გამო დაუძლურებულან. უძლურნი ხდებიან ჭლექის მსხვერპლად, ხოლო ჯან-საღნი-კი უვნებელნი რჩებიან და მრავლდებიან ქვეყნად. ამ გვარად, ჭლექი ხელს უწყობს ადამიანთა მოდგმის სიძლიერეს და უშლის მის გადაგვარებას. იმ მავნე მიზეზთ, რომლებიც ადამიანის სხეულს აუძლურებს, ეკუთვნის უმთავრესად: ლოთობა და სიფილისი, რომლების შედეგია შთამომავლობის დასნეულება და გადაგვარება. დაუძლურებული შთამომავლობა საუკეთესო ნიადაგია ჭლექისათვის. მის გამომწვევ, დაახლოვებულ მიზეზად-კი უნდა ჩავთვალოთ უსუფთაო და ცუდად მოწყობილი სკოლები, ყაზარმები, სახლები, სხვა-და სხვა გადამდები ავადმყოფობანი, ფილტვების ანთება, მწუხარება, სამშობლოს დაშორება, ცხოვრების ახალი, შეუჩვეველი გარემოებანი (მაგალითად, სოფლელის ქალაქში გადასახლება საცხოვრებლად და ამით გამოწვეული ახალი გარემოებანი), ხშირი ორსულობა, ხანგრძლივი ძუძუს წოვება ბავშვისა და სხვა. ყოველივე ეს აუძლურებს ადამიანის სხეულს და თუ ამასთან მიდრეკილებაც აქვს ადამიანს ჭლექით ავად გახდომისა, მაშინ ეს სენი უსათუოდ თავს იჩენს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ თავისუფლების მოსპობას და საპატიმროში დამწყვდევას.

რაც შეეხება წამლობას, ეს უკანასკნელი აქამდე უძლური იყო. ებრძოდნენ ბაცილებს, თვით ავადმყოფი-კი ავიწყდებოდათ. „კოხის ჩხირები“, როგორც სჩანს, ყველგან არის ჰაერში, მაშასადამე, იმათთან ბრძოლა უსაფუძვლოა. საჭიროა ვეცადოთ განვავითაროთ ადამიანის სხეულში ბუნებრივი წინააღმდეგობა ამ სენის მიმართ; ვებრძოლოთ ლოთობას, გავაუმჯობესოთ სანიტარული მდგომარეობა სკოლებისა, სახლებისა, ქარხნებისა და სხვა საცხოვრებელ ალაგებისა. ჭლექი ხშირი სტუმარია ბნელ და ნოტიო სარდაფებისა, სადაც სცხოვრობენ ღარიბი ოჯახები, ნახევარზედ მშივრები, მზესა და სუფთა ჰაერს მოკლებულნი. ლონდონში ერთსა და იმავე უბანში შეძლებულთა შორის იხოცება 11%, ღარიბთა შორის-კი — 50%; მდიდართა შორის ჭლექიანები შეადგენენ 65% ყველა გარდაცვალებულისას, ღარიბ ოჯახებში-კი 250%, ესე იგი ოთხჯერ მეტს.

საცოლოს ან საქმროს არჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ჯან-მრთელობასა და მემკვიდრეობას.

რაც შეეხება თვით ჭლექიანებს, ამათთვის შესაფერ ადგილას უნდა გაიმართოს სანატორიები და საავადმყოფონი; მხოლოდ ეს კია საჭირო, ჭლექიანები თავისის ნებით, ძალდაუტანებლად შედიოდნენ იქ. რასაკვირველია, ყველას ადგილი არ გასწვდება, ამიტომ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენის ცხოვრების მავნე და ცუდ გარემოებათა გაუმჯობესება.

ექიმი ბადრიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა გიმნაზიების მოსწავლეთა დათხოვნის შესახებ შობისა და აღდგომის დღესასწაულებში დაუდგენიათ: იმ მოსწავლეებს, რომელნიც უპატივ სადებო მიზეზით დროზედ არ გამოცხადდებიან, ან სულ აღარ დაითხოვენ, ან კიდევ ვადას შეუმცირებენ.

— განზრახვა აქვთ, ამ მოკლე ხანში შავს ზღვაზედ ისეთი უმავთულო ტელეგრაფი გამართონ, როგორიც გამართა საზღვაოსნო ოფიცერთა კლასების სანაღმო ნაწილის მასწავლებელმა ა. ს. პოპოვმა.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ჩინეთის საქმეები ყველას ყურადღებას იზიდავს და ყველა სხვადასხვა მიზეზს ეძებს მოულოდნელად ატეხილ ომის ასახსნელად. გერმანიის წარმომადგენელად პეკინში ნამყოფმა ფონ-ბრანდტმა „Finanz. Chronik“-ში საყურადღებო წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, თუ მისსიონერებმა ჩინელ „რეფორმატორთა“ მოძრაობაში რა მონაწილეობა მიიღეს. როგორც მოსალოდნელიც იყო, პროტესტანტთა და განსაკუთრებით-კი ინგლისელს მისიონერებს ამ პროგრესიულ დასის მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ. ამ წელს, ოქტომბერში, ორასმა ინგლისელმა და ამერიკელმა მისსიონერმა შანხაიში კრება გამართეს და გარდასწყვიტეს კან-იუ-ვეის მომხრეთათვის ხელი შეეწყოთ. კრების შემდეგ მისსიონერებმა ყველა სახელმწიფოებს მიწერილობა გაუგზავნეს, რომლითაც იწვევდნენ სამხრეთ ჩინელ პროგრესისტებს მიემხრობოდნენ და მათთან ერთად სცდილიყვნენ ჩინეთის სახელმწიფო წყობილებაში ძირითადი ცვლილებანი მოეხდინათ.

გერმანელი წარმომადგენელი ამის გამო დიდად ჰკიცხავს მისსიონერებს, რომლებიც პოლიტიკის საქმეში ერევიან, მათს საქციელს „წინ დაუხედავს“ უწოდებს და ამბობს, რომ ამათი იგინი მხოლოდ სამისიონერო საქმეს ჰვნებენ და ხალხის ნდობას სრულიად დაჰკარგავენო. მათთან ერთად არც „რეფორმატორ“ ჩინელებს ამართლებს და, უწოდებს-რა მათ მოღალატეებსა და სამშობლოს გამყიდველებს, ამბობს, — ესენი იაპონელთა დახმარებით სცდილობენ მანჯურიის გამოჩენილი სახელმწიფოს მოხელენი ამოსწყვიტონ და თვით დედოფლის მოკვლაც განზრახული აქვთო. ბრანდტის აზრი ამ საგნის შესახებ სრულიად უმართებულოა, და აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ იგი, როგორც გერმანელი, მეტად თანაუგრძნობს გერმანელს მისსიონერებს, ვიდრე ინგლისელსა და ამერიკელს მისსიონერებს, რომლებიც უფრო ცხოველის აზრისა და მიმართულების გამტარებელნი არიან ცხოვრებაში.

ინგლისელს მისსიონერებს, გერმანელებთან შედარებით, გაცილებით მეტი სამსახური მიუძღვით ჩინელების წინაშე: იგინი მუდამ იმასა სცდილობენ, რომ გონება დაბნელებულს ხალხში ევროპის განათლებისა და კულტურისადმი სიყვარული შეიტანონ, გამოაფხიზლონ და ამისათვის ნივთიერს დახმარებასაც არა ჰზოგავენ. ინგლისელები გერმანელებივით მარტო იმას არა ჰზრუნავენ, რომ ჩინელთა შორის თავისი სარწმუნოება გაავრცელონ. ამათ ჩინეთში ბევრი კეთილი დაწესებულებანი შეჰქმნეს: საზოგადო განვითარების სკოლები, საავადმყოფოები, შრომის მოყვარეობის სახლები, უპატრონო და უსახლ-კარო ბავშვთა თავშესაფარებელი სახლები, მოხუცთა სამადლო სახლები და სხ. მომეტებული ნაწილი მათი დაარსებულია. ეჭვი არ არის, ასეთის მოღვაწეობის დროს დაჩაგრულ ხალხის საკეთილდღეოდ, ინგლისელებს ჩინელ მოხელეების უსაზღვრო თავისნებობასთან ხშირად შეტაკება უხდებოდათ და უნებურად მიემხრნენ იმათ, ვინც ახალის ნათელის შეტანას სცდილობდა, ვინც სახელმწიფოს წეს წყობილების შეცვლას ჰლამობდა, რომ ამითი გაბატონებულ კლასის უზომო პარპაშს ფრთები შეჰკვეცოდა. და აი, სწორედ ამაშია ინგლისელ და ამერიკელ მისსიონერების დიდი სამსახური, რომ ამათ მიუდგომელად და ნათელის თვალით შეჰხედეს საქმეს და ევროპის სახელმწიფოებსაც მიუთითეს, სად იფარებოდა მიზეზი სამხრეთ ჩანელების აჯანყებისა.

მეორე მხრივ ბ-ნის ფონ-ბრანდტის მიერ ჩინელ „რეფორმატორთა“ გაკიცხვაც უსაფუძვლო და უმართებულოა. ბ-ნი ბრანდტი უსაყვედურებს მათ, რომ არსებულ ბატონობის წინააღმდეგ ძალის ხმარება და მმართველ მოხელეთა თავიდგან მოშორება ჰქონდათ განზრახული. საყურადღებოა, ვიცოდეთ, ბ-ნი ბრანდტი სხვა რომელს საშუალებას დაასახელებდა, რომ უზომოდ თავ გასული და შეუბრალებელი ჩინელი მოხელენი და მათი მოქმედება აელაგმათ, როდესაც ეს უკანასკნელნი ყველას, ვინც-კი ცვლილების შეტანას განიზრახავდა ჩანელთა უნუგეშო და ჩამორჩენილს ცხოვრებაში, ვინც-კი გონება დახშულ ხალხის გამოფხიზლებას მოისურვებდა, ყველას სიკვდილით დასჯა ჰქონდა და აქვს დღესაც გარდაწყვეტილი. თვით კან-იუვეიც-კი კინაღამ სახჩობელაზედ აიყვანეს, როცა ამ რამდენასამე წლის წინად ახალი პროგრესსიული პროგრამმა გამოაცხადა. როგორც საქმის გარემოებაც ამტკიცებს, ეჭვი არ არის, პროგრესისტებს „რეფორმატორებს“ მხოლოდ ეს საშუალება უნდა ამოერჩიათ და ბრანდტისათვის დიდად სამარცხვინოა, რომ იგი განგებ საქმის გარემოებას ჩრდილს აყენებს, უოველივეს არას ჰხსნის და არკვევს და სამაგიეროდ „რეფორმატორ“ ჩანელების პროგრამას-კი ჰკიცხავს, როგორც ძალადობის მხმარებელს და ჰკიცხავს ისე, რომ მკითხველს არ აცნობს რა უკიდურესმა გარემოებამ გამოიწვია იგი. რაც შეეხება დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულობას, ეს ჯერ ერთი არ დამტკიცებულა და, თუ მართლა ხალხის ერთი ნაწილი და გონება-ფხიზელი მამულის შვილნი მისნი წინააღმდეგნი იყვნენ, უოველივე ეს დედოფალმა საკმაოდ-კი არა, მოჭარბებით დაიმსახურა. ვინ იყო მიზეზი, თუ არ დედოფალი, რომ ლიბერალი იმპერატორი კვან სუ სახელმწიფოს მმართველობიდგან განდევნილ იქმნა. იგივ სდევნიდა ყველა „რეფორმატორ“ ჩინელებსა და ბრძანებას ბრძანებაზედ იძლეოდა, რომ ყველა, ვინც-კი პროგრესიულ დასის მომხრეობაში შენიშნულ იქმნებოდა, სიკვდილით დაესაჯნათ.

უსაბუთობა და უსამართლობა ბ-ნის ბრანდტის შეხედულობისა ყოველ მხრივ დამტკიცებულია და სასურველია მხოლოდ, რომ ევროპის სახელმწიფოთა დანარჩენმა წარმომადგენლებმაც საქმეს ამ თვალით არ შეჰხედონ და ღრმად ჩაუკვირდნენ, ნამდვილი მიზეზი სად მოიძებნოს და საქმეს რითი ეშველოს.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ბრიუსელიდგან იუწყებიან, კრიუგერი ევროპაში 11 ნოემბერს თურმე მივა, მაგრამ მოხუცი პრეზიდენტი ამ ჟამად თავს უქეიფოთ ჰგრძნობს და მკურნალები დასვენებას ურჩევენო. ამის გამო საპოლიტიკო საქმეებს ჯერ-ჯერობით ვერ შეუდგება.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკიდგან მოსულს ამბებს ინგლისის ცენზურა საშინლად ავიწროვებს და ნამდვილის საქმის გარემოებას არავის ატყობინებენ, დრო გამოშვებით მაინც გადმოაქვთ ამბები, რომლებიც ინგლისის სამინისტროების გაზეთების მიერ გავრცელებულს ხმებს სრულიად ეწინააღმდეგება. ამასვე ამტკიცებს უკანასკნელი დეპეშებიც. ბურები არა სცხრებიან და მტერს ისევ მედგრად ებრძვიან. ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ბლუმფონტეინი, რომელიც დიდი ხანია ინგლისის ჯარებმა გადაიარეს და დაიპყრეს, ახლა დიდს შიშში თურმეა. ბურების რიცხვი ქალაქს გარშემო თან-და-თან მატულობს, ინგლისის ჯარები, რომლებიც ფერმებსა და გასავალს გზებს იცავდნენ, მტერს ვეღარ იმაგრებენ და სულ ბლუმფონტენში თურმე ბრუნდებიან და თან მიჰყავთ ყველა, ვინც-კი აჯანყებულთა თანაგრძნობაში შენიშნულია. ქვეყანა მოოხრებულია და ბლუმფონტენში საგზლის ნაკლულოვანებასა ჰგრძნობენ. გაბრაზებული ინგლისელები ბურების დედაკაცებსა და ბავშვებს ფერმებიდგან ერეკებიან, ფერმებს აოხრებენ და ამ გვარ ბარბაროსული საშუალებითა სცდილობენ ბურების სრულიად დაუძლურებასა. ინგლისელებმა რაც უნდა ჰქმნან, ეს საქმეს ვერ დაარჩქარებს და სასიკვდილოდ თავ-გამოდებულ ბურებს ვერ შეაფერხებს. ჯერ ომი კიდევ დიდს ხანს გასტანს და ინგლისელებს ბევრჯელ გაირეკენ ბურები. რის მომასწავებელია განა ის გარემოება, რომ რობერტსი იანვრამდე ინგლისში დაბრუნებას აღარ აპირებს, თუ არ იმისი, რომ ბურებმა ამ ბოლოს დროს ინგლისელები კვლავ დააფიქრეს და მეტი ძალა შემოიკრიბეს. ახლა გადაუდებელი წვიმებიც დაიწყო ტრანსვაალში და ეს ხომ სრულიად ხელ-ფეხს შეუკრავს ინგლისელებსა და მძიმე-მძიმე ბარგისა და სურსათის ურმებს. ბურებს-კი თითოეულ ფეხის გადადგმაზედ შეეძლებათ მტერი სდევნონ, მოსვენება არ მისცენ. თანაგრძნობა კი ბურების მიმართ დღითი-დღე ყველგან მეტს მომხრეს ჰპოულობს. აი ამ დღეებში ირლანდიაში შემდგარმა ბურების თანამგრძნობელმა და დამოუკიდებლობის მომხრე კომიტეტმა რანაირი ადრესის მირთმევა გარდასწყვიტა, როდესაც პრეზიდენტი კრიუგერი საფრანგეთში მივა; ადრესი შემდეგი სიტყვებით თავდება:

„ჩვენი მტერი თქვენი მტერია. ჩვენი ლოცვა მისდამი შურის ძიებისა უზენაესის ტახტის წინაშე თქვენის ერის ლოცვას უერთდება და ისარნი, რომელნიც ოდესმე ჩვენისა და თქვენის ტანჯვისათვის შურს იძიებენ, ერთი შვილდიდგან იქმნებიან ნატყორცნი“.

## სასამართლოს მატიანე

თავ. შიხი ტუსიშვილისა, გიორგი ოსიტაშვილისა, ვლადიმერ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვის საქმე.

(დასასრული *)

შემდეგ სასამართლო შეუდგა მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევას.

მოწმე ივანე გებრიევი. მე სხვა მეეტლეებთან ერთად დაქირავებული ვიყავი, როგორც შემდეგ შევიტყვე გვარი, თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა და სხვათაგან, რომელნიც ვერაზედ ჯვარს ახლო ქეიფობდნენ. კარგა დრო იყო გადასული, რომ მოქეიფენი დაბრუნდენ, ჩემი ეტლი აღარ ინდომეს და ხუთივენი ერთად ბარათაშვილი, ტუსიშვილი, ოსიტაშვილი, ტერ შმოვანოვი და ლორენცოვისა ერთს ეტლში ჩასხდნენ. მე უკან გამოვყევი წინა ეტლს; როცა მიუახლოვდნენ ჯვარს, აღმართში შეხვდათ ვიღაც ორი კაცი, რომელთაგან ერთი შავს ნაბადში იყო გახვეული. ქვეითად მიმავლებს დაუძახეს „ხაბარდაო“, და როცა წინ წამოვიდა ეტლი, ერთმა ქვეითმა მიაძახა ეტლში მჯდომთ „აჯან-ო. ამაზედ შეაჩერეს ეტლი და, კარგად არ მახსოვს, რამდენიმე კაცი ჩამოვიდნენ ეტლიდგან და აუტეხეს ჩხუბი ქვეითად მიმავალთ. ჯერ მუშტებითა სცემდნენ ერთმანერთს და შემდეგ ამოიღეს ხანჯლები და ერთმა წითელ ჩოხიანმა დაჰკრა თავში ხანჯალი. ამის შემდეგ ორნი ჩასხდნენ ისევ ეტლში და წამოვიდნენ. გამოვყევი მოსკოვის ბალკამდის, სადაც იგინი ცოტა ხანს შეჩერდნენ და შემდეგ ვერის ხიდისაკენ ჩაუხვიეს. ორჯელ შევხვდი პოლიციელს, უთხრი ეს ამბავი მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს, დიდხანს ვდიე უკან ეტლს, მინდოდა შემეტყო იქ მსხდომარენი სად შევიდოდნენ. ცოტა ხანს გადაუხვიე, რომ კიდევ პოლიციელისათვის დამეძახა, მაგრამ როცა მოვბრუნდი, ვეღარც ეტლი ვნახე და ვეღარც შიგ მჯდომარენი. მახსოვს, ერთხელ ტუსიშვილის დამ 5 მან. მაჩუქა; შემდეგ კიდევ მივიღე 100 მან ნაფიც ვექ-გოლშტეინი შეეკითხა: როგორ ჩხუბობდნენო და გებრიევმა უპასუხა: ჯერ მუშტებით არტყამდნენ ერთმანერთს, ხოლო როცა ერთმა მათგანმა დაიძახა: ამოიღეთ ხანჯლებიო, იძვრეს ხანჯლები და დაერივნენ ერთმანეთს. ამ მოწმის ჩვენების შემდეგ თავ. ბარათაშვილის ვექილმა გოლშტეინმა ითხოვა დაიბარონ საპატიმროდგან ბრალდებულთა ჩოხები იმის გამოსარკვევად, რომელია და ან ვისია წითელი ჩოხა. სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა ეს თხოვნა.

მოწმე კალაშნიკოვმა. თავისი ჩვენების დასასრულ სთქვა, რომ თავ. ტუსიშვილისაგან მივიღე ერთხელ 30 მან. და მეორედ—100 მან.

თავ. შ. ტუსიშვილი. მკვლელობა ჩემთვის არავის შემოუწამებია, მაშ რა მოსაზრებით და რისთვის უნდა მომეყიდნა მოწმე, აშკარაა, რომ სცრუობს.

მოწმე ბოქაული ფირუმოვი. როგორც შემატყობინეს, მაშინათვე წაველი ტუსიშვილთან, რომელიც მძინარე ვნახე; როცა გააღვიძეს იგი, ძაგძაგებდა. ხანჯალი ვნახე, სუფთა იყო და არავითარი სისხლის ნიშნები არ ემჩნეოდა. ტუსიშვილმა მკითხა, „რა ამბავია, რა მოხდაო“. არაფერი მეთქი.

მოწმე ხუნდაძე. გებრიევმა მითხრა, რომ მე 100 მან. ბარათაშვილისაგან მივიღეო. ზაქარია საფაროვისგან გავიგონე, რომ აზიის ბუფეტში ვიყავი სადაც შემოვიდნენ თავ. ბარათაშვილი და ტერშმოვანოვი, რომელთაც ილაპარაკეს, რომ მათ შეემთხვათ ჩხუბი ვერაზედ ჯვართან; ტერშმოვანოვს სისხლში ჰქონდა გასვრილი ხელებიო.

ტერშმოვანოვის ვექილმა ითხოვა დაბარებულ იქმნეს ზაქარია საფაროვი და ეკითხოს ეს ამბავი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მართალია მოწმე.

მოწმე პამპალოვისა. ტუსიევი ისეთი მთვრალი დაბრუნდა შინ, რომ გონება არა ჰქონდა; როცა ბოქაული ფირუმოვი მოვიდა, ძლივს გავაღვიძე.

ა. ფიცხელაური. როცა ეს ამბავი შევიტყე, წაველი პოლიციის ნაწილში, სადაც ვნახე ტუსიშვილი და ბარათაშვილი, რომელნიც ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, რომ ოსიტაშვილმა მოჰკლა კაცი და ის უნდა მოიძებნოს, სადაც უნდა იყოსო. შემდეგ შევხვდი ოსიტაშვილს. როცა ეს ამბავი ვუთხარი, სთქვა, რომ ხანჯალი-კი ამოვიღე და დავკარი თუ არა ვისმე, არ ვიციო; ისინი-კი ამბობენ, რომ ვითომ მე მომეკლას კაციო.

ლაცაბიძე. ღამე იყო, სახლში მოვარდა ჩემი ძმა ივანე და ეს ამბავი შემატყობინა. როცა ეტლიდგან ჩამოცვივდნენო, ერთი, რომელიც პალტოთი იყო, მოვარდა ჩემთან, შემომკრა მუშტი და დაიძახა: ხანჯლები იძრეთო! მე გავიქეცი და ვნახე დაჭრილი გაბაშვილი. მან მომაძახა: ვანო როგორ ხარო? მე მიუგე: მე კარგად ვარ, მხოლოდ შენ მეთქი? გაბაშვილმა მომიგო: ძალიან ცუდად ვარ, ვკვდებიო. ამ სიტყვებზედ ჩაიკეცა. ხელები მივაშველე; ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ამის შემდეგ ოსიტაშვილის მამამ 40 მან. მაძლია იმისთვის, რომ ჩემის ძმისათვის მეთქმევინებინა, ვითომც ოსიტოვს ჩხუბში ეთქვას „გაშველებაში რათა მკლავთო?“ მე ფული არ ავიღე, რადგანაც ტყუილს ვერ ვიტყოდი.

საპატიმროს ზედამხედველი აპუშკინი. საპატიმროში ოსიტაშვილი მშვიდობიანად იყო. უფრო ტუსიშვილთან ჰქონდა მეგობრობა. ბოლოს შევიტყე, რომ ოთხივემ ბარათაშვილს დაუწყეს დევნა. როცა ეს გავიგე, ვუსაყვედურე და მას შემდეგ ჩამოეცალნენ. ტუსიშვილისა და ბარათაშვილის ჩოხას ერთმანეთიდგან რამდენსამე საჟენზედ ძნელად გაარჩევს მნახველი, რა ფერისაა. ოსიტაშვილის ჩოხის წინა კალთა სისხლით არის გასვრილი, ხოლო დანარჩენებისა სუფთაა. ოსიტაშვილმა უთხრა ტერ-შმოვანოვს, ვწუხვარ, შენც ის არ დაგემართა, რაც გაბაშვილსაო.

სხდომა გათავდა 5 საათზედ და გადაიდო საღამოს 7 საათისათვის.

საღამოს 7 საათზედ ეკითხა მოწმეს საფაროვს, რომელმაც განაცხადა, რომ მართალია, მე უთხარი ხუნდაძეს, რომ აზიის ბუფეტში ვნახე ბარათაშვილი და ტერ-შმოვანოვიმეთქი მაგრამ არ მითქვამს, ვითომც ტერ-შმოვანოვს სისხლით ჰქონოდეს გასვრილი ხელები. ამის შემდეგ გოლშტეინმა და ჩემესოვმა ითხოვეს საქმის გამოძიების დასამთავრებლად ხანჯლის ქარქაშები დაიშალოს და კარგად იქმნეს ქიმიკურად შემოწმებული, არის ხანჯლებზედ სისხლის წვეთები თუ არაო; ხოლო ოპოჩინინმა — გაისინჯოს ოსიტაშვილის ჰრილობები მოსამართლეთაგან, რადგანაც იმის შესახებ მომიხდება ლაპარაკი, რომ ეს ჰრილობები შემთხვევითი და განგებ დაკრული არ არისო. სასამართ-

*) იხ. „ივერია“ № 237.

ლომ რამდენისამე წამის შემდეგ დაადგინა შეწყნარებულ იქმნეს მხოლოდ ოპოჩინინის თხოვნა ოსიტაშვილის ქრილობების გასინჯვის შესახებ.

სამოსამართლო პალატამ საქმის გამოძიება დაამთავრა საღამოს 9 საათამდე. ამის შემდეგ ნება მიეცათ ბრალმდებლის ამხანაგსა დაბრალდებულთა დამცველთ სიტყვების წარმოთქმისა. ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-ნმა ხლოდოვსკიმ დიდ ხანს ილაპარაკა და დაასკვნა იმითი, რომ ყველანი დამნაშავენი არიან ამ საქმეში, რადგან მოწმეების ჩვენებით სჩანს, რომ ყველანი თავს დასხმიან გაბაშვილსაო. დასასრულ განაცხადა განაჩენი დამტკიცებულ იქმნეს ბარათაშვილისა და ტერ-შმოვანოვის შესახებ, ხოლო ტუსიშვილსა და ოსიტაშვილს ერთის ხარისხით შეუმსუბუქეთ სასჯელიო.

ბარათაშვილის ვექილმა გოლშტეინმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა. ბრალდებულთ, ბ-ნნო მსაჯულნო, ორჯელ მოისმინეს თქვენი განაჩენი და ორჯელვე გააუქმა იგი უმართებელესმა სენატმა. და ეხლა თუ კიდევ მოისმენენ თქვენს ბრალდებით გარდაწყვეტილებას, სასურველია, რომ ბრალდებულნი ამ განაჩენით დაკავშირებულნი იყვნენ დანაშაულობასთან. ეხლა თქვენ, სენატის ბრძანების ძალით, უნდა გამოარკვიოთ თითოეულის ბრალდებულის მონაწილეობა და აი, ჰგრძნობენ-რა ბრალდებულნი ამას, რომელთაც თითქოს როგორც ცხვართა ფარას ღამით წამოეწია ჰექა-ქუხილი უფსკრულის წინაშე, თავისის თავის დაცვის გრძნობა იძულებულ ჰყოფთ ყოველს მათგანს ხელი წამოჰკრას თავის მახლობელს უფსკრულში გადასაგდებად, იმ აზრით, რომ ოღონდ ჩვენ გადავრჩეთ უვნებლადაო. ბარათაშვილის წინააღმდეგ მხოლოდ ერთის მოწმის გებრიევის ჩვენებაა. იგი ამბობს, რომ ვითომც მას ენახოს, როდესაც გაბაშვილს სასიკვდილოდ თავში დაჰკრა ხანჯალი იმან, ვისაც წითელი ჩოხა ეცვაო. ამ მოწმის ჩვენების გასაყალბებლად სამოსამართლო პალატაში გამოწვეულ იქმნენ მოწმენი, რომელთაც თქვენს წინაშე განაცხადეს, რომ ქრთამი მივიღეთ ბრალდ. ტუსიშვილის ნათესავებისაგანაო, მაგრამ ჩემთვის ეს არც იმდენად საყურადღებოა, რადგანაც მოწმის გებრიევის ჩვენება არსებითად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. ფიზიკური კანონი ყოველთვის ერთი და იგივეა: როცა დედამიწაზედ სიბნელე დაეშვება, ჯერ ნათელი ჰქრება და მერე თვით საგანთა ფეროვანებაც იკარგება. მერე როგორ მოხდა, რომ მოწმემ ბნელს ღამეში შენიშნა ფერი ბარათაშვილის ჩოხისა, მაშინ როდესაც მანვე ვერ დაინახა ამავე დროს ყველა ბრალდებულმა იშიშვლა ხანჯალი თუ არა. ბარათაშვილს რომ მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ეს იქიდგანა სჩანს, რომ მისი ხანჯალი სისხლუცხებელი აღმოჩნდა. ამბობენ, ქვაშით გასწმინდაო. განა ეს შესაძლებელია, როდესაც ხანჯალზე არავითარი ნაფხაჭნი არ არის. არა, ბ-ნო მსაჯულნო, თქვენ შეგიძლიანთ თქვენს სათათბირო ოთახში დამცველთაგან ათი წარმოდგენილი ნამდვილი გარემოება უარ-ჰყოთ, ხოლო ერთის არ-ნამდვილის გარემოების შეთხზვის ნებაც არა გაქვთ. უმართებელესმა სენატმა, სენატის ობერ-პროკურორად ნამყოფის ბ-ნ ნეკლიუდოვის აზრის თანახმად, განმარტა, რომ ისეთნი დანაშაულობანი, როგორც ამ ბრალდებულთა და გაბაშვილის მოკვლის საქმეა, თავდასხმად არ უნდა იყოს მიჩნეული, რადგანაც ხელჩართულ ჩხუბად ითვლება ერთის კაცისა ოთხს ანუ ხუთ კაცთან მომხდარი არეული ჩხუბი. საქმის გარემოებიდგან სჩანს, რომ მათ ერთმანერთში უბრძოლიათ ჯერ მუშტებით და შემდეგ, უეჭველია, როცა გაბაშვილს ხანჯალი ამოუღია, ამ ბრალდებულთაგანაც ერთ-ერთს მაშინ მიუმართავს ხანჯლისათვის. და აი, ამ არეულმა ჩხუბმა ერთი იმსხვერპლა და ვის დავადოთ იმისის სიკვდილის ბრალი, როდესაც არავითარი საბუთი არ გვაქვს ვუთხრათ ვისმეს, დანაშაული შენ ჩაიდინეო. ამიტომ გთხოვთ სასტიკად ასწონ დასწონოთ ყოველივე სასამართლოში მოწმეთაგან ნაჩვენები ფაქტი და ლმობიერად მოეპყრათ დამნაშავესაო.

შემდეგ ილაპარაკეს ნაფიც მსაჯულთ ჩემესოვმა, ოპოჩინინმა და გრუზენბერგმა, რომელთაც თვისს სიტყვებში ითხოვეს ოსიტაშვილისა ტუსიშვილისა და ტერ-შმოვანოვის გამართლება.

გუშინ, **31 ოქტომბერს**, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ, სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა: უმთავრესს დამნაშავეებად იქმნენ ცნობილნი ვლადიმერ ბარათაშვილი, 22 წლ. და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვი, 22 წლ., ხოლო ამ საქმეში მონაწილეებად შიხი ტუსიშვილი, 30 წლ. და გიორგი ოსიტაშვილი, 28 წლ. და გარდაეწყვიტოთ ოთხსავე ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და საცხოვრებლად გარდასახლება ბარათაშვილსა და ტერ-შმოვანოვს ირკუტსკის გუბერნიაში 4 წლის ვადით, ისე-კი, რომ ამ 4 წლის განმავლობაში საცხოვრებლად დანიშნულ ადგილიდგან არსად შეეძლოთ წასვლა, ხოლო 12 წლის განმავლობაში გუბერნიას ვერ გასცილდნენ; ტუსიშვილსა და ოსიტაშვილს კი ტომსკის გუბერნიაში 1 წლის ვადით, ისე-კი, რომ 1 წლის განმავლობაში არ განშორდნენ საცხოვრებლად დანიშნულს ადგილს, ხოლო შემდეგ 4 წლის განმავლობაში გუბერნიას. სასამართლომ შესაძლებლად არ დაინახა თავმდებობით დამნაშავეთა განთავისუფლება. დასაბუთებული განაჩენი გამოცხადებული იქმნება 15 ნოემბერს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ევროპაში ბევრს ადგილას, მაგალითად, დანიაში თაგვი და ვირ-თაგვა დიდ ზარალს აყენებს ნათესობას. დღემდე ვერაფერი გაუწყვიათ ამ მავნე ცხოველის წინააღმდეგ. ასეთი საშუალება ბევრი მოიგონეს, რომელიც თაგვსა ჰკლავს, მაგრამ მინდორში, ყანაში ამგვარ საშუალების ხმარება მოუხერხებელია, რადგანაც თაგვი და ვირ-თაგვა მიწაში სცხოვრობს და ამასთან დიდს მანძილზედ. სხვათა შორის ბერლინში მოუგონიათ ერთი წამალი, რომელიც ოთახის თავვს სამაგალითოდა ჰხოცავს. ამ წამალს „პიკტოლინს" ეძახიან. „პიკტოლინი" სითხეა, გაზებისაგან მომზადებული, რომლის უმთავრესს ნაწილსაც გოგირდის სიმჟავე შეადგენს. საკმაოა ამ სითხის ოთახში შეტანა, რომ რამდენისამე წუთის შემდეგ იმის სუნისაგან ოთახში ყველა თაგვები ამოსწყდნენ. ეს წამალი გემებში სცადეს, სადაც თაგვები მრავლად სცხოვრობდნენ, და საუკეთესო ნაყოფი მოიტანა.

* *

ინგლისში მრავალი ძველი წესი და ჩვეულებაა დარჩენილი. მაგალითად, ზოგიერთ გადასახადს იქ ისევე ისტუმრებენ, როგორც ამ რამდენისამე საუკუნის წინად ისტუმრებდნენ. ქალაქ ლონდონს ეს რამდენიმე საუკუნეა იჯარით აქვს აღებული ერთი ქაობი შრონშირში, რომელშიაც ყოველ წელიწადს საიჯარო გადასახადად დედოფლის სასარგებლოდ იხდის „ორ ცულს, ერთს კარგსა და მეორე უფრო მდარეს". აგრეთვე ეს რამდენიმე საუკუნეა ლონდონი განსაკუთრებულ გადასახადს იხდის დედოფლის სასარგებლოდ ქალაქში სამჭედლოების გამართვის უფლებისათვის. ეს გადასახადი უფრო უცნაურია: „ექვსი ნალი და 61 ლურსმანი". ყოველ წელიწადს, დანიშნულს დღეს, ქალაქის იურისკონსულტი სასამართლოში მიიტანს ხოლმე ერთ ცულს, მოკაკულ დანას (ეს „მდარე ცულის" მაგიერია), ექვს ნალსა და 61 ლურსმანს. სასამართლოშივე შეაქვთ ერთი კონა წკეპლები. იურისკონსულტი იღებს კარგ ცულს და ერთის დაკვრით კონასა სჭრის; შემდეგ „მდარე ცულს" იღებს და სამის დაკვრითა სჭრის წკეპლებს. იქვე, სასამართლოში მყოფი დედოფლის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ცულები კარგებიაო, მერე სათითაოდ სთვლის ნალებსა და ლურსმებს, და ხელ-ახლა აცხადებს, რომ გადასახადი კანონიერად და წესიერად არის გარდახდილი, ხოლო რადგან დედოფალს ეს „გადასახადი" არა სჭირდება, მისმა უმაღლესობამ კეთილ ინება და უმაღლესად მოსამართლეს უბოძა ეს ნივთები. ამ რიგად გარდასახადი მოსამართლესა რჩება.

* * *

არსად არ იცის, მგონი, ისეთი სიცხეები, როგორიც მეწამულ ზღვაში იცის. აი რასა სწერს ერთი გერმანელი აფიცერი, რომელიც ამ ზაფხულს ჯართან ერთად ჩინეთში წასულა: „არასოდეს არ ვიფიქრებდი, თუ ასეთი ძლიერი და ხანგრძლივი სიცხე იცის მეწამულ ზღვაში, თუმცა გემზედ თითქმის ტიტვლები ვიყავით, მაგრამ ოფლი მაინც წყალივით გადმოგვდიოდა. არ ვიცოდით, რა გვექნა დღისით, მაგრამ ღამე უარესი იყო: ერთი ბეწვა ნიავი არსაიდგან არ უბერავდა, ოფლი ღამე უფრო გვაწუხებდა, ვიდრე დღისით, დაძინება ერთის წუთითაც არ შეგვეძლო. ისე დღე არ გავიდოდა, რომ ვინმეს გული არ შეჰღონებოდა, ან მზეს არ დაეკრა ვისმესთვის. ექიმებს მოსვენება არა ჰქონდათ არც დღე და არც ღამე. ორი ზღვაოსანი მზის დაკვრისაგან გარდაიცვალა. განსაკუთრებით ერთმა დღემ შეგვაწუხა საშინლად. სიცხისაგან კინაღამ ყველანი გავგიჟდით. ყოველის მხრიდგან კვნესა და ოხვრა მოისმოდა. სირცხვილს ყურადღებას აღარავინ აქცევდა: ზოგი დედიშობილა იწვა, ზოგი კიდევ იჯდა. მაგრამ, როგორც იქმნა, ჩვენ ტანჯვას ბოლო მოეღო. თუმცა ადენის სრუტეში ტემპერატურა იგივეა, რაც მეწამულ ზღვაში, მაგრამ აქ ნიავი განუწყვეტლივ უბერავს. თავისუფლად ამოვისუნთქეთ, როდესაც მეწამულ ზღვას გავცდით, გვეგონა ჯოჯოხეთიდგან სამოთხეში გადავედითო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 30 ოქტომბერს, რუსეთის სათეატრო საზოგადოების უავგუსტოესის თავმჯდომარის დიდის მთავრის სერგი მიხეილის ძის თანადასწრებით, ჩაჰყარეს საძირკველი იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობის მოხუც არტისტთა თავშესაფარის შენობისა.

**ტიანძინი.** ფრანგთა მცირე რაზმზედ ტუნ-ჩოუს ახლოს იერიში მიიტანა ჩინელთა ძლიერმა ჯარმა.

**შანხაი.** ქვრივ-იმპერატრიცის მიერ იანცზეში გაგზავნილი განსაკუთრებული კომისსარი ჩუჩეიუანი მოვიდა ნანკინში და ნაბრძანები აქვს საიმპერატორო კარს გაუგზავნოს, რაც-კი სადმე ფულს მოსძებნისო.

**კაპშტადტი.** მეტეენი მოულოდნელად დაესხა თავს ბურთა გენერლებს ოტტოსგორპომსა და ლიხტენბერგს, დააზარალა და ამასთანავე რამდენიმე სურსათ-იარაღით დატვირთული ეტლი წაართვა. გენერალი კიტჩინერი, ძმა ლორდის კიტჩინერისა, მიდელბურგის ახლოს ღამე დაესხა წარმატებით მტერს, რომლის დროსაც განსაკუთრებით თავი ისახელეს გუსარებმა. როდესაც დილით დამხმარებელი ჯარი მოვიდა, მტერი უკვე გაფანტული იყო.—პოლკოვნიკმა პლუმბერმა უკუ-აგდო დელორეას რაზმის 400 ბური, რომელთაც იმაზედ იერიში მიიტანეს.

**შანჰაი.** ხმა დადის, რომ ქვრივმა იმპერატრიცამ ბრძანება გასცა დასაჯონ ხანჩჟოუფუში თხუთმეტი საჰურისი, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ ვითომ შეთქმულება შეადგინოთ, რათა დახმარება აღმოუჩინონ იმპერატორს პეკინში დასაბრუნებლად.—გენერალმა ტუნფუსიანმა, რომელიც დათხოვნილია დროებით ზემო განსუში, საიმპერატორო კარს განცხადება გაუგზავნა, რომელშიაც სწერს, რომ თუ განზრახვა გაქვთ დაემორჩილოთ დიდთა სახელმწიფოთა მოთხოვნილებას და თავი წარმკვეთოთ, იძულებული ვიქნები ამბოხება მოვახდინოო; ამბობენ, რომ ვითომ მთელი განსუს პროვინცია იმისს მხარეს არისო.

**შანჰაი.** სიანფუში კონფერენცია შესდგა ჩინეთის მინისტრებისა და წარჩინებულთა კაცთა იმის შესახებ, ამიერიდგან რომელი ქალაქი ითვლებოდეს ჩინეთის სატახტო ქალაქადაო. ოთხმა ასეთ ქალაქად პეკინი დაასახელა, ხუთმა – სიანფუ და ერთმა – ხანჩჟოუფუ.

ამას წინად ხუნეს გუბერნატორად დანიშნულს ენჩჟანს, რომელიც თანაგრძნობით ეკიდება უცხო-ქვეყნელთ, ნება დაერთო ორის თვით პეკინში წასვლა, სადაც „დიდის მუშტ-ს" მომხრეთ გაძარცვეს მისი საკუთრება; შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ როდისმე მივიდეს იგი ხუნეში.

შანდუნის გუბერნატორმა წინადადება მისცა დიდთა სახელმწიფოთ, რომ შემიძლიან ჯარისათვის მოგყიდოთ 10,000 ცხვარი და სხვილფეხი საქონელიო.

31 ოქტომბერი

**ბაქო.** სასამართლომ განიხილა საყურადღებო საქმე მილიონები პატრონის რილსკის კუთვნილ ნავთის სადენ მილის შემწეობით ნავთის მოპარვისა. მთავარმა ბრალდებულმა რილსკიმ თავი მოიკლა საპატიმროში. ეხლა სასამართლომ სასჯელად გარდაუწყვიტა: რილსკის სარეწავის მოურავად ნამყოფს ფადეთ ლუნევსკის, მისს თანაშემწეს სალიხოვს და ეხანიკს აგაფონოვს პატიმართა გაყოფილებაში გაგზავნა: ლუნევსკის ორის წლით, ხოლო დანარჩენთ—თითოეულს წელიწად ნახევრით. სასამართლომ ფიაოევს მიუსაჯა 30,000 მან.

**პარიჟი.** ქალაქის თვით-მართველობის საბჭომ შეიწყნარა ის წინადადება, რომ მადლობა განეცხადოთ ყველა უცხო ქვეყნელთ, რომელთაც გამოფენა დაათვალიერეს.

**ვაშინგტონი.** როგორც ამბობენ, ჩინეთის მოხელენი დიდად გამწვავებულნი არიან, რომ პაოტინფუში მანდარინები იქმნენ დასჯილნი, და ოფიციალურად განაცხადეს გაოცება და სინანული იმის გამო, რომ მაშინ იქმნენ ისინი დასჯილნი, როდესაც მოლაპარაკება არისო. განსაკუთრებით დასაგმობლად მიაჩნიათ ვიცეკოროლის ჩჟიმის სიკვდილით დასჯა რადგან იგი არ ეწინააღმდეგებოდა მოკავშირე სახელმწიფოთა გალაშქრებას, თუმცა ისეთი ჯარი ჰყავდა, რომ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევაო.


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე